

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, ტესტის III ნაწილში მოცემულია ორი დავალება. უნდა აირჩიოთ და შეასრულოთ ერთ-ერთი მათგანი (დავალება N1 ან დავალება N2).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ. **გაითვალისწინეთ**, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ეკატერინე ნიკოლაძე

XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი მოღვაწეები ყველაზე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიურ ჩართვას. დაიწყო ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა რათა ისინი უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში წასულიყვნენ. იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც ამ მიზნით პირველები წავიდნენ ევროპაში, იყვნენ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დები.

ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები შვეიცარიაში მოხვდნენ იმ დროს როდესაც სოციალისტები ყველგან დაუფარავად ავრცელებდნენ ახალ იდეებს. რუსეთის იმპერიიდან სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდნენ. ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დააარსეს საზოგადოება „უღელი“ რომლის მიზანი იყო ევროპაში მიმდინარე პროცესების შესწავლა, საზოგადოებრივ აზრისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია საქართველოში. სანუკვარი მიზანისათვის რომ მიეღწიათ და სამშობლო გაენთავისუფლებინათ ახალგაზრდები სხვა ქვეყნების ეროვნულგანმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლებთან დაკავშირებას ცდილობდნენ. დები ნიკოლაძეები ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ.

განათლების მიღების შემდეგ ეკატერინე ქუთაისში დაბრუნდა. აქ მან და მისმა თანამოაზრეებმა დააფუძნეს ქუთაისის ქალთა საზოგადოება რომლის მთავარი მიზანი იყო გუბერნიაში მცხოვრებ ქალთა განათლებაზე ზრუნვა. გარდა ამისა ეს საზოგადოება ფინანსურათაც ეხმარებოდა ხელმოკლე ახალგაზრდებს.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს კანონმორჩილი და ერთმანეთის მიმართ სოლიდარული მოქალაქეების ერთობა ქმნის.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება N 1

ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინას“ პერსონაჟი, განთქმული ყაჩაღი აფშინა, ქვეყნისა და მეფის ერთგულ გოგოთურს შემთხვევით გადაეყრება და მის გაძარცვას მოინდომებს:

– იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება. –
პირდაპირია აფშინა,
ვაჟკაცს არ უყვარს პარება. –
რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას მეძახიანო!
ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა:
„ხმალო, გამიჭერ, ფხიანო!“

გოგოთურ ფიქრობს: „ვეჩვენო,

აცა, აფშინას საწყლადა;
ვეხვეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიზამს ნაცვლადა?
აქებენ, შამიბრალებსა,
თუ გადამაქცევს ნაცრადა?..“

– თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რად მყრი, ძმისაო
უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ ღვთისაო?..

მისცა ხმალი და სიათა,
ფარი, ნაჭრევით ფარული...
აფშინამ ლურჯას დეზი ჰკრა,
იგიც გაფრენას ლამობდა...
გოგოთურს თმენა გაუწყდა
გამოცხადებით ჯავრობდა:

– მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,
კიდევ არ შაირცხვინია?
დადეგ, შე უნამუსოვო,
ქვაზედ გინაყო ტვინია!

გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,

გულში აეძრა ჟინია.
ხელი გაავლო აფშინას,
დადვა, დაბეგვა ძალიან...
ჩაეუბნება ჭკვიანად:

– შენ გაგერშილხარ სხვაზედა.
გინდოდა, გოგოთურსაცა
წამასჯდომიყავ თავზედა?
შენ რომ ჭკვიანად მოგექე,
გვედრე, არ შამიბრალია,
ეხლა მე მერტყას წელზედა
შენი ზიკზიკა ხმალია;
ცხენიც მე მყვანდეს, ლურჯაი,
თანაც ეს შენი ფარია,
ჩაჩქანი, რკინის პერანგი
შენზედ არამი არია.

– რა ვქნა, – ამოთქვა აფშინამ
წვერმოტეხილის ენითა... –
რა ვქნა, გავბრიყვდი, ვერ გიცან,
თუმც კი გიცნობდი შორითა...
გაქებდენ, კარგი ჰყოფილხარ,
კარგი გქონია მარჯვენა,

ფიცვერცხლი ვჭამოთ, გოგოთურ,
ჩემნ იარაღიც მამცენა!
მრცხვენთან, ამას რომ ვამბობ...
მიძმე და მომეც აბჯარი,
თუ არა, ბევრად მირჩვენავ,
რო გულში დამცე ხანჯარი...

– აჰა, აბჯარნი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ვლიდია,
საცა შენი სთქვა ბიჭობა,
იქავე ჩემიც სთქვიდია...

თანაც გაუხსნა ხელები,
წამააყენა მხედარი.
ადგა ბეჩავი აფშინა
თვალმოცრემლილი, ლურჯია:

– მოდი, გაკოცო, გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლჩია.

ხელი მაჰხვიეს ერთმანერთს
გულახდით, არა ძალადა;
აფშინას ხურჯინშიითა
ტიკჭორა მათეც ჩქარადა.

მიიპატიჟა გოგოთურ,
დასხდენ ვაჟკაცნი ხის ძირა;
აფშინამ ყანწი აავსო
და ილოცება წინ-წინა:

– სანამ იცოცხლე, გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამია,
სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
დილა-საღამოს ჟამია...

ახლა გოგოთურმ დალოცა:
– გწყალობდეს, ძმისავ, ხატია!
შენც ჯანიანი ჰყოფილხარ,
როგორც წელანის გცადია.
ღმერთმა გამოროს ბოროტი,
ავ საქმე, ავი წადილი...
ნუ მოგვიშალოს უფალმა
ძმობა და ერთად ხადილი!

აფშინამ ხანჯრის ბუნისა
ვერცხლი არაყში ჩათალა,
ორთავ დალიეს ერთადა,
ორივემ ყანწი დაცალა.

იფიცნეს. ეხლა ძმანია,
ვით ერთის დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა
ერთურთს სამღერი ტკბილები,
მემრე წავიდნენ ცალ-ცალკე
თავ-თავის გზაზე გმირები.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ გოგოთურის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება N2

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“:

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვებულს და გაკაპასებულს ბაღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები.

– დაჩუმდი, შე არგასაწყვეტო, თორემ აგერ ოთარაანთ ქვრივი მოდისო.

ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად იცოდა და ბევრს არას ჰნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

– ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაც, – იტყოდა ხოლმე თავისთავად. – ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილუბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვივლიო.

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

– მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო, – იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, – არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ჰნახე, – რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.

– რაო, მუქთამჭამელოო? – ეტყოდა ხოლმე. – შენს ქმარს თავისთავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზე ეს დასამიწი ხელები, – აი, მოგიკვდეს ეგ უფულო გული! მამა-შენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დაადგება, აი!.. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკენწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

– ტკბილი სიტყვა რა არისო! – იტყოდა ხოლმე, – ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, – მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

– ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, – ამბობდნენ სოფელში.

მართლა ასე იყო თუ არა, – ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილშვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალს ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

– აჰა, ხეთქეო, – ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, – დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი. შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძალღსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო... რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

– მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რათ იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია – მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...

გლახა-მთხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა...

– ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, – მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, – დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიდან აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს?.. არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს?.. ფუ, შენს ნამუსსა!..

თუ მეტად შესაბრალისი და ღონემიხდილი გლახა შეხვდებოდა, ამაებს ხომ ეტყოდა და ეტყოდა და ბოლოს დაუმატებდა:

– წამოეთრე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასალვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.

წაიყვანდა, ერთ ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოსტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით...

ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველელი შოთი, რასაკვირველია, თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგილანძლათ. როცა მთხოვარა გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა ფეხუცმელობით.

– დამაცა, შე არდასაცალებელო, – დაუმახა მთხოვარას.

მთხოვარა გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიის ქვეშ ამოიჩარა ექვსი შოთი, მოვიდა მთხოვარასთან და დაუყვირა:

– მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხავო!

გაოცებული მთხოვარა გაჰყვა. ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი გადმოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მთხოვარას, რომ საწყალმა თვალებზედ ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხვდესო.

– აჰა, შე არდასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი. იქნებ ამოსხმაც არ იცოდე, შე დასალუპავო.

– რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? – ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

– მაშ არა-და, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, – იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ოთარაანთ ქვრივის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!